ხელშეკრულება № 03/34
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი 05.03.2018წ.

ერთის მხრივ "საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი" შემდგომში – "შემსყიდველი", დირექტორის გურამ ბოკუჩავას სახით და მეორეს მხრივ ი/მ მამული გამეზარდაშვილი შემდგომში "მიმწოდებელი" ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია:
ფოლადის კარადის შესყიდვა. (კოდი: 44421700)

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 350 (სამას ორმოცდაათი) ლარს. დღგ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 7 (შვიდი) კალენდალური დღის განმავლობაში.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი მინდელის ქ.№7
4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები ან მიღება-ჩაბარების აქტი).

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
5.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულების სრულად შესრულებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის, სასაქონლო ზედნადებისა ან მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
6.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება მომწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით
6.4 მომწოდებელი ვალდებულია:
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებილი შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღისა.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

7.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

7.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საეთო ღირებულების 0,1% ოდენობით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 05.03.2018-დან 12.04.2018-მდე.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნების მიზეზების მითითებით.
12.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13 სხვა პირობები

13.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13.2 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავინთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკისინსტიტუტი მისამართი: ქ.თბილისი, ყაზბეგის გამზ. 15 ს/კ 249250821 ვი-თი-ბი“ ბანკი ჯორჯია კოდი: UGEBGE22 ა/ა №GE68VT6600000000313408	ი/მ მამული გამეზარდაშვილი მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №118 ს/კ 01024040937 სს "საქარსთველოს ბანკი" კოდი: BAGAGE22 ა/ა GE19BG0000000199728900
დირექტორი: გურამ ბოკუჩავა	ი.მ. მამული გამეზარდაშვილი